

შუალედური ანგარიში №2*
4–15 მაისი, 2010 წელი

21 მაისი, 2010 წელი

I. მოკლე შინაარსი

- საარჩევნო კამპანია დღემდე შეზღუდულად მიმდინარეობს დიდი ქალაქების გარეთ. ძირითადი ყურადღება თბილისის მერის არჩევნებზეა ფოკუსირებული. საარჩევნო კამპანიის გარემო, მიუხედავად ცალკეული ინციდენტებისა, სიმშვიდით ხასიათდება.
- არჩევნებში მონაწილე ბევრი სუბიექტი საარჩევნო პროცესებისადმი კვლავ აშკარა სკეპტიციზმს გამოხატავს. ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღო შეტყობინება დარღვევების შესახებ. დარღვევები შეეხებოდა კანდიდატებზე ზეწოლას, სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ უკანონო საარჩევნო კამპანიის წარმოებას და ადმინისტრაციული რესურსებისადმი არათანაბარ ხელმისაწვდომობას მმართველი პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამთავრობო სამუშაო ჯგუფი აღნიშნულ საკითხებში გარკვევას შეეცადა.
- საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა დონეზე აქტიურად ემზადება არჩევნებისთვის. ცენტრალური საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები გამჭვირვალედ მუშაობენ და ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჯერ არ გამოუცია არჩევნების შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული დეტალური ინსტრუქციები საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის.
- კანონის შესაბამისად 1 მაისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაახლა ამომრჩეველთა სიები. ქალაქებში წინასწარი საარჩევნო სიების შედგენაზე გავლენა იქონია მისამართების სისტემასთან, ასევე ბოლო ხანებში ქუჩებისთვის სახელების შეცვლასა და საარჩევნო უბნების საზღვრებთან დაკავშირებულმა ხარვეზებმა. სახლის მეპატრონის შუამავლობით რეგისტრაციის ადგილიდან მოხსნილი 11,000-ზე მეტი მოქალაქიდან დადგენილ ვადაში მხოლოდ 171-მა მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო სიებში შეყვანის მოთხოვნით.
- OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ იმ ტელე არხების უმრავლესობაში, რომელზეც მისია დაკვირვებას აწარმოებს, შეინიშნება ბალანსის ნაკლებობა პრაიმ-

* ამ დოკუმენტის მხოლოდ ინგლისურენოვანი ვერსია არის ოფიციალური.

ტაიმის ახალი ამბებში პოლიტიკური სუბიექტებისა და კანდიდატების გაშუქებისას. მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი (სსმ1) სთავაზობს მაყურებელს საარჩევნო კამპანიის შედარებით დაბალანსებულ სურათს. წამყვან ტელე არხებზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ძალიან მაღალი ტარიფი კანდიდატებს მედია საშუალებებში საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალებას უზღუდავს.

- მიუხედავად მრავალრიცხოვანი განცხადებებისა, დღემდე გაცილებით ნაკლები ოფიციალური საჩივარი შევიდა საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში. მათი უმრავლესობა შეეხებოდა საარჩევნო კამპანიის წარმოების წესების დარღვევას, და განსაკუთრებით ადმინისტრაციული რესურსების არასწორ გამოყენებას. როგორც მოსარჩელეთა, ისე კომისიების უმრავლესობას არა აქვთ გათვითცნობიერებული ის დებულებები, რომლებიც სხვადასხვა სასამართლო ორგანოების კომპეტენციას განსაზღვრავენ. ცესკო-ს ყოველთვის არ გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მაშინ თუ საჩივარი დაუსაბუთებლად ჩაითვლება.
- მდედრობითი სქესის კანდიდატების წილი დაბალია და ფაქტიურად უცვლელი რჩება 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ. მთელი ქვეყნის მასშტაბით საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების ნახევარზე მეტს ქალები შეადგენენ.
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით უმცირესობების ენებზე დაიბეჭდება საარჩევნო მასალები, მათ შორის ბიულეტენები, ამომრჩეველთა სიები, სახელმძღვანელოები საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის და ოქმების ნიმუშები იმ რეგიონებისთვის, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობას ეროვნული უმცირესობები შეადგენს.

II. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანია დღემდე შეზღუდულად მიმდინარეობს დიდი ქალაქების გარეთ. ძირითადი ყურადღება თბილისის მერის არჩევნებზეა ფოკუსირებული. მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) კანდიდატი გიორგი უგულავა აქტიურ საარჩევნო კამპანიას ეწევა. ოპოზიციონერ კანდიდატთა შორის თბილისში აქტივობით გამოირჩევა ირაკლი ალასანია (ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის“), გიორგი ჭანტურია (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა) და ზვიად ძიძიგური (ეროვნული საბჭო). საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კანდიდატების ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შეხვედრებს ადგილობრივ ამომრჩევლებთან, რომლებშიც ხშირად ადგილობრივი კანდიდატებიც იღებდნენ მონაწილეობას. გიორგი უგულავამ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რაც მედია საშუალებებით გაშუქდა. სატელევიზიო არხებით გადაცემულ სიუჟეტებში მერობის კანდიდატი ცდილობს მოირგოს სხვადასხვა პროფესია, მათ შორის პურის მცხოვრებლის, ბენზინ გასამართ სადგურზე ბენზინის ჩამსხმელის და ასე შემდეგ. თბილისს გარეთ აქტივობით გამოირჩევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ეროვნული საბჭო და გია თორთლაძის დემოკრატიული პარტია.

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 2010 წელი

შუალედური ანგარიში №2 (4–15 მაისი, 2010 წელი)

გვერდი: 3

საარჩევნო სუბიექტთა უმრავლესობის საარჩევნო კამპანია კონკრეტულ თემას ეფუძნება. დასაქმება საარჩევნო კამპანიის უმთავრეს თემას წარმოადგენდა ბევრი პარტიისა და ბლოკისთვის. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხაზს უსვამდა სოციალური უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. „ალიანსი საქართველოსთვის“ ყურადღებას ამახვილებდა სოციალურ პროგრამებზე მათ შორის პენსიებსა და ოჯახების დახმარებაზე. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის აქცენტი გადატანილი იყო კომუნალური გადასახადების შემცირებაზე. მათგან განსხვავებით ეროვნული საბჭო საარჩევნო პროცესებში დარღვევების არსებობის მტკიცებას განაგრძობდა.

საარჩევნო კამპანიის გარემო, მიუხედავად კონკრეტული ინციდენტებისა, სიმშვიდით ხასიათდება. 6 მაისს ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ მოწყობილი დემონსტრაცია პოლიციასთან მწვავე შეხლა-შემოხლით დასრულდა. ასევე ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას საარჩევნო პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით. 6 მაისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პლაკატების თაობაზე გამართული დავა, რომელშიც გარეული აღმოჩნდა ზვიად ძიძიგური, სროლით დამთვარდა. „ალიანსმა საქართველოსთვის“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჩივარი შეიტანა თბილისში მათი პლაკატების დაზიანებისა და მათზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატების გადაკვრის გამო.

არჩევნებში მონაწილე ბევრი სუბიექტი საარჩევნო პროცესებისადმი კვლავ აშკარა სკეპტიციზმს გამოხატავს. OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღო შეტყობინება დარღვევების არსებობის შესახებ. დარღვევები შეეხებოდა ოპოზიციონერ კანდიდატებზე ზეწოლას, კანდიდატურების მოხსნის მოთხოვნით, ასევე გაისმოდა სამსახურის დაკარგვის მუქარები; დარღვევებს შორის ასევე აღნიშნული იყო სახელმწიფო ოფიციალური პირების მიერ უკანონო საარჩევნო კამპანიის წარმოება და ადმინისტრაციული რესურსებისადმი არათანაბარი ხელმისაწვდომობა მმართველი პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამთავრობო სამუშაო ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა სამინისტროებისა და სამთავრობო ორგანოების წარმომადგენლებისგან შედგება, აღნიშნულ საკითხში გარკვევას შეეცადა. მესტიაში (სამეგრელო – ზემო სვანეთი) ოფიციალური პირების მიერ პარტია „თავისუფლების“ კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამთავრობო სამუშაო ჯგუფი იძიებს. ამ ინციდენტის შემდეგ გუბერნატორმა, რომელსაც ინციდენტში მონაწილეობა ბრალდებოდა, დროებით შეწყვიტა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისმა სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას გაანდო საკუთარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ საქმეში პროკურატორის ჩართვა უპრიანი იქნებოდა. ასევე გაისმოდა ზოგადი განცხადებები, რომ პატიმრებს სთავაზობდნენ გათავისუფლებას იმ პირობით, თუ წარადგენდნენ იმ ხალხის სიებს, რომლებიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ მისცემდნენ ხმას. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისმა სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა უარყო ციხიდან ამგვარი გათავისუფლების შესაძლებლობა.

ზღვარი სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზოგჯერ ბუნდოვანია. ერთიანი საარჩევნო კოდექსის თანახმად სახელმწიფო თანამდებობის პირებს ეკრძალებათ აწარმოონ კამპანია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ბევრმა კანდიდატმა, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირებმა აიღეს შვებულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა ამის თაობაზე პროტესტი გამოთქვეს, რადგან ეს ხელს აძლევს მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.“ თბილისის მერიის საზოგადოებრივი კამპანია „მე მიყვარს თბილისი“, რომელიც არჩევნების დანიშვნამდე დაიწყო, შემდგომ დედაქალაქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიაში გადაიზარდა. თბილისის მერიის პროგრამა „კინომანია“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები კინოთეატრის ბილეთებზე 5-ლარიანი ფასდაკლებით სარგებლობენ, თვალსაჩინო რეკლამას უკეთებს ციფრ „5“-ს, რომელიც 2004 წლის შემდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგით ნომერს განსაზღვრავს საარჩევნო ბიულეტენებში.

III. საარჩევნო ადმინისტრაცია

საანგარიშო პერიოდში ცესკო არჩევნებისთვის აქტიურ მზადებას განაგრძობდა. მიღებული პრაქტიკის შესაბამისად ცენტრალური საარჩევნო კომისია ხანმოკლე ფორმალურ სესიებს მართავდა, რომელზე დასწრების უფლება აქვთ დამკვირვებლებს. სესიები კოლეგიალურ ატმოსფეროში ტარდება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხშირ ვიზიტებს აწყობდა რეგიონებში საოლქო საარჩევნო კომისიებთან და არჩევნებში ჩართულ სხვა პირებთან შესახვედრად. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ამას გარდა, დაამტკიცა საარჩევნო ბიულეტენების შემაჯამებელი ოქმებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების ჩანაწერთა წიგნის ფორმები.

საოლქო საარჩევნო კომისიები ზოგადად კარგად მომზადებულები ჩანან, მათი საქმიანობა გამოირჩევა გამჭვირვალობით და თანამშრომლობის სურვილით. საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების უმრავლესობას აქვს არჩევნებთან დაკავშირებული გამოცდილება. საოლქო საარჩევნო კომისიები ხშირად მართავენ სესიებს, რაზეც ყველა წევრი დროულ შეტყობინებას იღებს.

შესაბამისად ფუნქციონირებენ საუბნო საარჩევნო კომისიები, რომელთაც OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები უწევენ მონიტორინგს. საანგარიშო პერიოდში მათ მთავარ ფუნქციაში შედიოდა საარჩევნო სიების განახლება. საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგი კვლავ გრძელდება. იგი მოიცავს ხმის მიცემასა და ხმების დათვლასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ასევე საჩივრების განხილვას. უმეტეს შემთხვევაში ტრენინგი OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ დადებითად შეფასდა.

ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ შეცვალა თავიდან დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები. ამგვარი ცვლილებები ზოგიერთ ოლქში მასიური ხასიათის იყო. ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცებით პარტიებს, რომელთაც ევალებათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნა, არ გააჩნიათ საჭირო ინფრასტრუქტურა და

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 2010 წელი

შუალედური ანგარიში №2 (4–15 მაისი, 2010 წელი)

გვერდი: 5

რესურსები საკუთარი პარტიის წევრების დასანიშნად და მათ ნაცვლად ხშირად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრებს ნიშნავენ. საანგარიშო პერიოდში კონკრეტულ შემთხვევებში აღინიშნა პარტიის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებზე ზეწოლა, გადადგომის მოთხოვნით.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის ჯერ არ გამოუშვია ოფიციალური დეტალური ინსტრუქციები საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების მიღებასა და შედეგების შეჯამების თაობაზე.

5 და 8 მაისს ყვარელისა და ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიებმა გასცეს განკარგულებები ეროვნული საბჭოს კანდიდატთა სიების რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ საკრებულოს არჩევნების პროპორციულ სეგმენტში. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კანონის ინტერპრეტაციის თანახმად რეგისტრაციიდან მოხსნა საჭირო იყო, რადგან ამ სიებში კანდიდატთა რაოდენობა კანონით გათვალისწინებულ 10-კაციან მინიმუმზე ქვემოთ დაეცა მას შემდეგ, რაც ზოგიერთი კანდიდატი საარჩევნო მართონს გამოეთიშა. ეროვნულმა საბჭომ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა. საბჭოს მტკიცებით ერთიანი საარჩევნო კოდექსი არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას ნამდვილად უნდა ჩაითვალოს თუ არა სიები საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მათი წარმატებით დარეგისტრირების შემდეგ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განუხილველად დატოვა შემოსული საჩივრები საპროცესო ნორმების დარღვევის გამო, რაც გამოიხატებოდა საჩივრების კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ შეტანაში.

15 მაისს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების უდიდესმა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ეთიკის კოდექსს, რითაც მათ კანონის ერთგულების პირობა დადეს. ცესკო-მ ამომრჩეველთა ინფორმირების რამდენიმე ინიციატივის განხორციელება დაიწყო. მათ შორისაა სარეკლამო რგოლები არჩევნებში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთა სიებში პირადი მონაცემების გადამოწმებისა და ამომრჩეველთა უფლებების შესახებ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი ვებ გვერდის ქართული ვერსია მუდმივად განახლებადია.

IV. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

კანონის თანახმად 1 მაისს ცესკო-მ განაახლა ამომრჩეველთა სიები. როგორც ცესკო-მ OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, მათი შეფასების თანახმად ამომრჩეველთა სიებში მხოლოდ 1%-მდე შეცდომები რჩება.

ცესკო-მ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიებს დაავალეს საარჩევნო სიებში აღენიშნათ მათთვის ცნობილი, მაგრამ ოფიციალურად აღურიცხავი სიკვდილიანობის ფაქტები და ასევე იმ პირთა მონაცემები, რომელთა მიმართ არსებობს მათი საქართველოში არყოფნის მტკიცებულება. სოფლებში უფრო ადვილად გახდა შესაძლებელი ამგვარი მტკიცებულებების მოძიება, ერთმანეთის ნაცნობობის გზით. თუმცა არ არსებობს ამ პროცედურის ჩატარების წესები, რამაც შესაძლებელია

ერთიანი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 2010 წელი

შუალედური ანგარიში №2 (4–15 მაისი, 2010 წელი)

გვერდი: 6

გამოიწვიოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ურთიერთშეუსაბამო მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი.

ქალაქებში წინასწარი საარჩევნო სიების შედგენაზე გავლენა იქონია მისამართების სისტემასთან, ასევე ბოლო ხანებში ქუჩებისთვის სახელების შეცვლისა და საარჩევნო უბნების საზღვრებთან დაკავშირებულმა ხარვეზებმა. ზოგიერთ სოფელში პრობლემატური იყო ამომრჩეველთა საარჩევნო უბნებში გადანაწილება მისამართების მარტივი სისტემის გამო. საანგარიშო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ ამ პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი რესურსები გაიღო.

ცესკო-ს წევრებთან შეთანხმებით ცესკო-ს თავმჯდომარემ ქვედა დონის კომისიებს რეკომენდაცია მისცა, დაკავშირებოდნენ სამოქალაქო რეესტრიდან მოხსნილ და საარჩევნო სიებიდან ამოღებულ მოქალაქეებს. ცესკო-მ ასევე დაიწყო მედია კამპანია ამ მოქალაქეების ინფორმირების მიზნით. რეესტრაციის ადგილიდან მოხსნილი 11,281 მოქალაქიდან დადგენილ ვადაში, ანუ 14 მაისამდე, მხოლოდ 171-მა შეიტანა განაცხადი საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სიებში შეყვანის მოთხოვნით. დარჩენილი 11,110 მოქალაქე არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

V. მედია

კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ საკუთარი პლატფორმა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა (სსმ) და სხვა სახელმწიფო და კერძო მაუწყებლების მიერ მოწყობილი სისტემატური დისკუსიებისა და ტოქ შოუების საშუალებით. ამ დრომდე, სსმ-ს პირველ არხზე (სსმ1) გავიდა დებატების ორი გადაცემა, ერთი – “კვალიფიციური” სუბიექტების მიერ წარდგენილ თბილისის მერობის ხუთ კანდიდატს შორის, ხოლო მეორე – “არაკვალიფიციური” სუბიექტების მიერ წარდგენილ ოთხ კანდიდატს შორის.¹

OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის 18 აპრილი-12 მაისის მედია მონიტორინგის წინასწარ ანგარიშში მითითებული იყო, რომ სატელევიზიო არხების უმეტესობა არათანაბარ დროს უთმობდა პრაიმ-ტაიმის ახალი ამბების ეთერში სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებისა და კანდიდატების გაშუქებას – ზოგიერთი მათგანი უპირატესობას ანიჭებდა სამთავრობო კანდიდატებს, ზოგი კი – ოპოზიციისას. აქამდე მხოლოდ სსმ1 სთავაზობს მაცურებელს საარჩევნო კამპანიის შედარებით დაბალანსებულ სურათს პრაიმ-ტაიმის ახალ ამბებში. სსმ1-მა პოლიტიკური და საარჩევნო ახალი ამბების 19% დაუთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და 13% – „ალიანსს საქართველოსთვის.“ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის თაოსნობით შექმნილ ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას და ეროვნულ საბჭოს დაეთმოთ 12-12%. სსმ-ს მეორე არხი მუდმივად უთმობს ეთერს ყველა პოლიტიკურ პარტიას, აშუქებს

¹ “კვალიფიციური” სუბიექტებად ითვლებიან პოლიტიკური პარტიები და ბლოკები, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას პროპორციული ხმების 4%-ზე მეტი, ან ბოლო მუნიციპალური არჩევნების დროს, ქვეყნის მასშტაბით, ხმების 3%-ზე მეტი მიიღეს. “არაკვალიფიციური” სუბიექტებს ესაჭიროებათ აზრთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დადასტურებული ხალხის მხარდაჭერა, რათა მათ დაეთმოთ საეთერო დრო/ეთერი.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 2010 წელი

შუალედური ანგარიში №2 (4-15 მაისი, 2010 წელი)

გვერდი: 7

მათ საარჩევნო კამპანიას – დღემდე ეს საშუალება გამოიყენა ძირითადად ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა, ალიანსმა საქართველოსათვის და ეროვნულმა საბჭომ.

ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი, დღეისთვის ყველაზე პოპულარული ორი კერძო სატელევიზიო არხი – “რუსთავი 2” და “იმედი” გამოხატავენ მმართველი პარტიისა და მის მიერ წარგენილი თბილისის მერობის კანდიდატის მხარდაჭერას. ორივე არხი ფართოდ და დადებითად აშუქებს ხელისუფლების საქმიანობას საარჩევნო კამპანიის კონტექსტის გარეშე, რითაც, არაპირდაპირი გზით, სამსახურს უწევს სამთავრობო კანდიდატებს. თვალშისაცემია სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის დადებითი კუთხით გაშუქების ტენდენცია, მათი მიღწევებისა და წარმატებების წინა პლანზე წამოწევა. თბილისის მერისა და მთავრობის წარმომადგენელთა გამოჩენა სხვადასხვა ცერემონიების, მათ შორის ავტობუსის ახალი სამარშრუტო ხაზის, სპორტული მოედნებისა და სავაჭრო ცენტრების გახსნის, აგრეთვე თბილისის ლიფტების შეკეთების (თბილისის მერიის თანადაფინანსებით) გაშუქებისას, როგორც წესი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების თანდასწრებით, არაპირდაპირ ემსახურება ენმ-ს საარჩევნო კამპანიას.

კიდევ ერთი სატელევიზიო არხი – „აჭარა“, რომელიც აგრეთვე ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს და რომელსაც ფლობს აჭარის რეგიონული ხელისუფლება, ისეთივე მიდგომას იჩენს როგორსაც „რუსთავი 2“ და „იმედი.“ „აჭარა“ პრაიმ-ტაიმში პოლიტიკური და საარჩევნო ახალი ამბების გაშუქებისას უდიდეს დროს უთმობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ხელისუფლების საქმიანობას. თბილისის ადგილობრივი არხი „რეალ ტვ“ დაუფარავ არაობიექტურობას იჩენს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ და ოპოზიციის საწინააღმდეგოდ. თბილისის ადგილობრივი ტელე სადგურები „კავკასია“ და „მაესტრო“ კი პირიქით, დღემდე ოპოზიციის, კერძოდ კი „ალიანსი საქართველოსთვის“ პლატფორმის როლს ასრულებენ. ორივე არხი ასევე აკრიტიკებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ და ხელისუფლებას.

ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელ ძირითად სატელევიზიო არხებზე ფასიანი სატელევიზიო რეკლამის ძალიან მაღალი ტარიფი კანდიდატებს მედია საშუალებებში საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალებას უზღუდავს. დღემდე მხოლოდ ბატონმა უგულავამ მოახერხა „რუსთავი 2-ზე“ და „იმედზე“ ფასიანი სარეკლამო რგოლების განთავსება.² “კვალიფიციური” სუბიექტები აქტიურად იყენებენ უფასო საეთერო დროს, რომელიც მათთვის როგორც სახელმწიფო ისე კერძო ტელევიზიებმა გამოყვეს სარეკლამო რგოლების განსათავსებლად. სსმ-ს პირველი არხი, მიუხედავად იმისა, რომ კანონით არ არის ვალდებული, უფასო საეთერო დროს მაინც უთმობს “არაკვალიფიციურ” სუბიექტებს.

3 მაისს, 16-მა რეგიონულმა ბეჭდვითმა გამოცემამ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა მხოლოდ ერთი წინადადება “მოგვეცით საჯარო ინფორმაცია” იმ სახელმწიფო ორგანიზაციების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებიც, მათი აზრით, “მაღავენ

² „რუსთავი 2-ზე“ სატელევიზიო რეკლამის წუთობრივი ტარიფი, დროის კონკრეტული მონაკვეთის მიხედვით, 13,000-დან 32,000 აშშ დოლარამდე მერყეობს.

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 2010 წელი

შუალედური ანგარიში №2 (4–15 მაისი, 2010 წელი)

გვერდი: 8

საჯარო ინფორმაციას და ხელს უშლიან ჟურნალისტებს ინფორმაციის მოპოვებაში”. OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას ბევრმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისი გამჭვირვალობა მედია საშუალებების მფლობელთა ვინაობასთან დაკავშირებით, რადგანაც არსებობს იმის ვარაუდი, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი პირადად იყოს დაკავშირებული ზოგიერთ ეროვნულ ან ადგილობრივ ტელევიზიასთან.

VI. საჩივრები და განცხადებები

მიუხედავად მრავალრიცხოვანი ზეპირი ბრალდებებისა, დღემდე შედარებით ნაკლები ოფიციალური საჩივარი შევიდა საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში. როგორც მოსარჩელეთა ისე კომისიების უმრავლესობა ნაკლებად ერკვევა იმ დებულებებში, რომლებიც სხვადასხვა სასამართლო ორგანოების კომპეტენციას და ჩასატარებელ პროცედურებს განსაზღვრავენ. #61 საოლქო საარჩევნო კომისიაში (ლანჩხუთი) შევიდა ლეიბორისტული პარტიის განცხადება „ალიანსი საქართველოსთვის“ რეგისტრაციის თაობაზე, მაშინ როდესაც ასეთი განცხადება უნდა შევიდეს და განხილულ იქნეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. აღნიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიან დამკვირვებლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მოვალეობაში არ შედის აუხსნას მოსარჩელეს, რომ ამ შემთხვევაში ცესკო არის კომპეტენტური ორგანო.³

ცესკო-ში შესულ საჩივართა უმეტესობა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ არის შედგენილი და ეხება საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევას, განსაკუთრებით ადმინისტრაციული რესურსების არასწორ გამოყენებას. ერთიანი საარჩევნო კოდექსით არ არის განსაზღვრული, თუ რა ვადებში უნდა იქნეს განხილული ასეთი საჩივრები. მასში მითითებულია ზოგადად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები. ცესკო-ს პროცესუალური ნორმებიც იგივე დებულებას იმეორებს. ცესკო-ში შემოსული საჩივრები შეტანის დღიდან საშუალოდ ორი კვირის განმავლობაში განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის შესწავლა მისი სრულყოფილი განხილვისთვის ნამდვილად მოითხოვს დროს, აუცილებელია პროცესის დროულად განხორციელება.

ცესკო-ს ყოველთვის არ გამოაქვს გადაწყვეტილება მიღებულ საჩივრებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით თუ საჩივარი დაუსაბუთებლად ჩაითვლება. ცესკო ასეთ საჩივრებს განიხილავს როგორც “საინფორმაციო მასალას”, ხოლო მოსარჩელეს წერილობით მოკლედ ატყობინებს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია. გარდა ამისა

³

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 80¹-ე მუხლის შესაბამისად „თუ განცხადებით მოთხოვნილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.“

ერთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
არჩევნების სადამკვირვებლო მისია

საქართველო, ადგილობრივი არჩევნები, 2010 წელი

შუალედური ანგარიში №2 (4-15 მაისი, 2010 წელი)

გვერდი: 9

ცესკოს მიერ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მეტყველებს იურიდიული ტერმინოლოგიის არასაკმარის ცოდნაზე. უკეთეს შემთხვევაში ცესკო საქმის კურსშია და სამუშაო ჯგუფების მეშვეობით მის მოგვარებას შეეცადა.

13 მაისს ცესკოს თავმჯდომარემ განიხილა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ 28 აპრილს შეტანილი საჩივარი, რომელიც თბილისის მერიის პროექტ “კინომანიას” ეხებოდა. ცესკო-ს თავმჯდომარემ დაადგინა იმ დებულების დარღვევა, რომელიც კრძალავს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვას ისეთი მასალის დაბეჭდვაზე, რომელზეც გამოხატულია საარჩევნო სუბიექტი ან მისი რიგითი ნომერი. შედგენილი ოქმი გადაიგზავნა საქალაქო სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია ჯარიმის დაკისრებაზე.

საია-მ საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში ცესკოს #37 დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც სახლის პატრონის შუამავლობით რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის პირობებს ადგენს. საია ექვემდებარება ცესკოს მიერ გამოცემული აქტის სამართლიანობას და ამტკიცებდა, რომ ცესკო-მ გადაამეტა საარჩევნო კოდექსით დადგენილ დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლომ უარი სთქვა საია-ს საჩივრის განხილვაზე და მხარი დაუჭირა ცესკო-ს გადაწყვეტილებას.

პროკურატურაში ორი საქმე შევიდა, რომელთაგან ერთი საჩივარი გენერალური პროკურორის სახელზე შეიტანა კოალიციამ სამოქალაქო განვითარებისთვის. იგი ეხებოდა ჩოხატაურის #9 საოლქო საარჩევნო კომისიის იმ კრების ოქმის გაყალბებას, რომელზეც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აირჩიეს. მეორე საჩივარი ოზურგეთის პროკურატურაში შეიტანა „ალიანსმა საქართველოსთვის.“ საჩივრის თანახმად კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების უფროსმა ზეწოლა განახორციელა მათ კანდიდატზე, რათა ამ უკანასკნელს საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა ნიგვზიანის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში.

VII. ქალთა მონაწილეობა

ქალ კანდიდატთა წილი ერთ-მანდატიან საარჩევნო ოლქებში და პროპორციულ სიებში 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ფაქტიურად უცვლელი დარჩა. ქალები მაჟორიტარი კანდიდატების მხოლოდ 10,9%-ს შეადგენენ. პროპორციულ სიებში კი ქალების წილი 18,2%-ია. არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი მხოლოდ ორ მათგანს ხელმძღვანელობს, ესენია: ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის პარტია „საქართველოს გზა“ და მაგდა კოტრიკაძის ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია. ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წამყვანი ფიგურაა. რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციას ცესკო-ს 13 წევრიდან მხოლოდ ერთია ქალი, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრების 52%-ს ქალები შეადგენენ.

VIII. ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

ცესკო-ს განცხადებით საარჩევნო მასალები ხელმისაწვდომი იქნება ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. ერთიანი საარჩევნო კოდექსი დაიბეჭდება როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე. ამომრჩეველთა სიები და ბიულეტენები დაიბეჭდება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე აღნიშნული ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის. სახელმძღვანელო საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის დაიბეჭდება ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ცესკო-ს განცხადებით მიუხედავად იმისა რომ ოქმების ნიმუშები აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე დარიგდება, თვით ოქმი ქართულ ენაზე უნდა შეივსოს.

სამოქალაქო-საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ბოშების საკითხი წამოჭრეს, რომელთაც არ აქვთ პირადობის მოწმობები და შესაბამისად ვერ შეძლებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

IX. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია განაგრძობდა ჩვეულ საქმიანობას, რაც მოიცავდა შეხვედრებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის სამთავრობო სამუშაო ჯგუფთან, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, სასამართლოს, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და დიპლომატიურ მისიებთან. ქვეყნის მასშტაბით განთავსებული გრძელვადიანი დამკვირვებლები განაგრძობენ არჩევნებისთვის მზადების პროცესს და რეგიონებში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაზე დაკვირვებას. ასევე ემზადებიან მოკლევადიანი დამკვირვებლების ქვეყნის მასშტაბით განლაგებისთვის. პირველი ბრიფინგი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის 7 მაისს ჩატარდა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია გეგმავს ჩამოყალიბოს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ევრო საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესთან ერთად, რომელშიც შედიან ევრო კავშირის რეგიონების კომიტეტის წევრები.